ᲛᲝᲜᲐ

სურათებიანი დამატება

დამატების № 31. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1906 Წ. გაზეთის № 9

ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲘ

(დასასრული *)

ორის საათის შემდეგ კაპიტანი სასადილო ოთახში იჯდა და წიგნს კითხულობდა, მოსამსახურე კი სამზარეულოში სამოვარს სწმენდდა.

— თომა! — მოესმა მას.

თომას მოსვრილი ხელები ჰქონდა.

— გეახლებით, თქვენო მაღ-ბავ! — უპასუხა თომამ, საჩქაროდ დასტაცა ტოლჩას ხელი, ამოიღო წყალი და ხელების ბანას მოჰყვა.

თომას რცხვენოდა იმავე პისუხის მიცემისა და ხელების საჩქაროდ შეწმენდა და გაქცევა დაეპირა, მაგრამ ჯერ პირსახოციც არ აეღო, რომ კაპიტანი სამზარეულოს კარებში გაჩნდა.

— მეუბნები „გეახლები“-ო და ადგილიდან კი არ იძვრი. ჰხედავ, მე შენზედ მალე მოვედი. ღღეს რამდენი გელაპარაკე და ყველაფერი დაგავიწყდა კ-დეც. დაგიძახო თუ არა, მაშინვე ჩემთან უნდა გაჩნდე. მეორე და მესამე დაძახებას კი არ უნდა უცდიდე.

— უკაცრავად, თქვენო მაღ-ბავ! ხელებს ვიბანდი და იმიტომ...

— ნუ ლაპარაკობ! მე შენ მაგის შესახებაც გელაპარაკე... რა საქმეც უნდა გქონდეს, თუ მე გეძახი, უნდა ყველაფერი დაადგო და გამოიქცე. თუ ჭუჭყიანი ხელები გექნება ვნახავ და დასაბანად გაგისტუმრებ. დაიხსომე, კვლავ აღარ ვნახო ეგენი! მეჯავრება ერთისა და იმავეს ათჯერ თქმა.

— მესმის, თქვენო მაღ-ბავ!..

ორი საათის შემდეგ თომამ დარეცხილი ჩაის ჭურჭელი ლანგრით სასადილო ოთახში შეიტანა, რომ შკაფში შეელაგებინა. მაგრამ სწორედ ამ დროს მოესმა საწოლ ოთახიდან ბატონის ძახილი:

— თომა! ჩქარა!...

კაპიტნის ყველა დღევანდელი დარიგება და უფრო კი უკანასკნელ შეგონების ახალ შთაბეჭდილებით, მოსამსახურე შეშინდა. აირია და იმის მაგივრად, რომ ლანგარი საჩქაროდ სადმე დაედგა და ძახილზედ გაქცეულიყო, თავ-გზა აერია და გაჩერდა.

— ჩქარა მოდი-მეთქი! ლამპიდან ბოლი ამოდის, მე კი ვწევარ...

— ემ საათში, თქვენო მაღ-ბავ!... ჭურჭელი დავდო...

— ჩქარა მოდი! მესამედ გეძახი!... დაადგე ჭურჭელი...

თომამ ლანგარი იატაკზედ დაადგო...

როგორ მოუვიდა ეს, მერე თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, მაგრამ მალე კი მიჰხვდა, რომ ჭურჭელი არ უნდა გაეგდო ხელიდან, ისე ძლიერ არ უნდა შეშინებულიყო და დაფიქრების შემდეგ, მაინც უნდა შეესრულებინა ბრძანება... ისე ჩქარა გამოერკვა, რომ, როდესაც ლანგარი დაადგო, კაპიტანთან კი არ გაიქცა, პირ-დაღებული დაჰყურებდა ჭურჭლის ნამტვრევებს...

ჭურჭლის ჩახა-ჩუხი რომ მოესმა, კაპიტანი ლოგინიდან წამოდგა, ლამპა ჩასწია და სასადილო ოთახში გავიდა.

— უკაცრავად, თქვენო მაღ-ბავ!... ისე, რომ მე... უკაცრავად... შემეშინა...

კაპიტანმა ჯერ ნამტვრევებს დახედა, მერე — მოსამსახურეს.

— შენ, ჩემო ძმაო, როგორც გატყობ, ბატსავით უტვინო ხარ, უთხრა ბოკმა მოსამსახურეს. — აკრიფე...

„ძალზედ ტუტუცია! გაიფიქრა კაპიტანმა დაბრუნებისას. — სიტუტუცე კი კარგი ღირსება არ არის... სჯობია, დავითხოვო, ვიდრე მთელი ჭურჭელი არ დაუმტვრევია...“

მაგრამ მეორე დილას კაპიტანმა თომას დათხოვნა გადაიფიქრა.

„ცოტას კიდევ მოვიცდი, ეგებ მართლა შევაშინე. იყოს ვნახოთ რა იქნება“ — გადასწყვიტა.

ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲜᲚᲘᲐᲜᲓᲘᲐ. — სასტუმრო „ბელვედერი“ ვიბორგში, სადაც დათხოვნილ სათათბიროს დეპუტატებს კრება ჰქონდათ ცნობილ მანიფესტის შესადგენად.

*) იხ. „დამატება“ № 30.

ავტონომიური ფინლიანდია.—ფინლიანდიის წითელი გვარდია.

— მე კიდევ გითხარი, არ მოგყიდი მეთქი ქათამს! რას გადამეკიდე? შობის წინა დღეს, როდესაც თითო კვერცხი თავის წონა ოქროდა ღირს, მიჰყიდე ამ ვმუბატონს ქათამი! შენ და შენი ბატონი, როგორც გატყობთ ოსმალეთიდგან ჩამოსულხართ. მთელი დღე რომ იარო ეგრე კარი კარს, ამისთანა დროს არავინ მოგყიდის ქათამს.

— ანნა მარკოვნა! თქვენ ნაცნობობით მომყიდეთ. ბატონს მუცელი სტკივა. ექიმმაც უბრძანა არაფერი მიირთვა ქათამის წვენის გარდაო.

— შემაბრალა! ჰო, დავუჯერე კიდეც შენს ექიმს. შენი ბატონის მეტს მუცელი არავის სტკივებია? სხვებსაც სტკივებიათ, მაგრამ უექიმოდ და უქათმოდ კი მორჩენილან.

— ისინი უბრალო ხალხნი არიან, ის კი ბატონია.

— მუცლები ყველას ერთნაირი აქვს,—უპასუხა დედაკაცმა.

ანნა მარკოვნა, სიკეთე მიყაკით! მაშ რა ვქნა! წამოიძახა სასოწარკვეთილმა თომამ.

— მომეცი ამ ქათმის და ყველა იმ კვერცხების ფასი, რომლებსაც მომავალ ზამთრამდე დასდებენ და მოგყიდი.

— მე რა ვიცი რამდენ კვერცხს დასდებს?

საქმეც მაგაშია, მეც არ ვიცი.

— მანეთს მოგცემთ, შეეეკითხა თომა. დარწმუნებული იყო, რომ ამ ფასით დედაკაცს გააკვირვებდა.

— რა ბევრს მაძლევს! —გაიღიმა ანნა მარკოვნამ.—ამისთანა დროს, უქმეების წინა დღეს ათს კვერცხს აბაზად ვყიდით სადგურზედ.

— ეგ იშვიათი შემთხვევაა! მხედველობაში მიიღეთ, რომ ბატონს მუცელი სტკივა.

— მე ჩემი საქმე შენს ბატონს მირჩევნია.

— ოჰ, რა ხალხია!—სთქვა თომამ, ჩაიქნია ხელი და მეზობელს მოშორდა.

ასევე ამოდ ჩაუარა თხოვნა კიდევ ორ-სამს ადგილას

გავიდა ერთი კვირა. ცხოვრება ჯერ ჩვეულებრივს კალაპოტში არ ჩამდგარიყო; სწავლა ჯერ არ დაეწყოთ. ერთს დილას ისე ძლიერ ასტკივდა მუცელი კაპიტანს, რომ ექიმიც კი მოაყვანინა. ექიმმა ეუთხრა, ქათმის წვენის მეტი არაფერი გეჭმებაო.

მაგრამ იმ მიყრუებულს, პატარა დაბაში, სადაც არ იყო. მუდმივი დუქნები და ამასთანავე გზაფხულზედ ქათმის შოვნა ადვილი არ იყო ქათმის ძებნაში თომამ თითქმის მთელი სოფელი შემოიარა და მახლობელს სოფელშიაც გადავიდა, მაგრამ ვერსად იშოვნა: არავინ მიჰყიდა.

— ?თელი ზამთარი ამ დროსთვის ვასუქეთ ქათმები და ეხლა ამას მიჰყიდეთ! აი, შე სალდათო! ეგრე სალდათადვე დაიბადე? სოფელში არ გიცხოვრია? — ლასცინოდნენ სოფლის დედაკაცები.

დაბრუნდა თოჟა და მოახსენა კაპიტანს, ქათამი ვერ ვიშოვნეო.

— როგორ თუ ვერ იშოვნე?— წამოიძახა კაპიტანმა. — მე მგონი, გარკვევით გითხარი, უნდა იშოვო მეთქი. გაიგე რა სთქვა ექიმმა? სამი დღის განმავლობაში არაფერი არ უნდა ვჭამო ქათმის ხორცის გარდა... გასწი, წადი ეხლავე და, საიდანაც გინდა, მოიყვანე. რა ღირს? ექვსი შაური? ათი შაური? მიეცი... მანეთი მიეცი, ოღონდ იშოვნე! ჩქარა. იყიდე, დაჭკალი და მოხარშე.

— მესმის, თქვენო მაღ-ბავ!— უპასუხა თომამ და წავიდა.

ხელახლად მივიდა მახლობელ მეზობლის გლეხის დედაკაცთან.

— ანნა მარკოვნა! მოიღეთ მოწყალება, მომყიდეთ ქათამი! ბატონმა მიბრძანა—უქათმოდ თვალითარ დამენახოო.



ავტონომიური ფინლიანდია.—ფინლიანდიის რკინის გზის სადგური. ფინლიანდიაში ხშირად სადგურები უდაბურ ტყეებშია, განმარტოებით, ასე რომ სადგურის უფროსის მეტს თითქმის ვერავის ხედავს კაცი. მაგრამ არც ძარცვას, არც ქურდობას იქ ადგილი არა აქვს. ეს სადგურები ფინლიანდიაში ცივილიზაციის და კულტურის გავრცელების თესლია.

და, როდესაც სახლში დაბრუნდა, მოახსენა კაპიტანს, რომ ქათმის შოვნა „მანეთადაც კი არ შეიძლებაო“.



ავტონომიური ფინლიანდია.—გლეხის ოჯახი. სუფთა, მოწყობილი ოთხი საოჯახო ავეჯით და ჭურჭლით. ფარდაგებ დაგებული ოთახი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

— კარგი ერთგული მოსამსახურე ხარ, კარგი, თქმა აღარ უნდა!—შესთათხა კაპიტანმა.—ერთი უბრალო ბრძანებაც კი ვერ შემისრულე. შენს იმედზედ როგორ უნდა ვიყო, რამე საძნელო საქმე რომ მქონდეს? ბატონი ავად არის, ისე ავად არის, რომ თუ ქათმის წვენს გარდა რასმეს შესჭამს, მაშინვე მოკვდება, ჰგზავნის მოსამსახურეს, იმას კი სიარული და ძებნა ეზარება...

— თქვენო მაღ-ბავ! ღმერთმანი, მთელი სოფელი შემოვიარე... ორჯერ მოვიარე...

— სტყუი! გეზარება. არასოდეს არ დავიჯერებ, რომ ქათამი არავინ მოგყიდა! გეზარება, გეზარება მეთქი! იყოს ბატონი ავად, მოკვდეს, შენ რა, განა? მომბეზრდა მე შენთან ლაპარაკი. გასწი ეხლავე და, თუ ქათამი არ მოიყვანო, თვალით არ დამენახვო! ეხლა თერთმეტი საათია. ერთის საათის შემდეგ ქათამიანად აქ იყავი. გესმის? გასწი!.. ეხლა კი აღარა გთხოვ, გიბძანებ!

თომა ისევ წავიდა. ნახევარი საათის შემდგ ქოჩორა ქათმით დაბრუნდა.

— რა? იშოვე?—იკითხა გახარებულმა კაპიტანმა.

— დიაღ, თქვენო მაღ-ბავ,—უპასუხა არეულად თომამ და თვალები ძირს დახარა.

— ხედავ! აკი გითხარ, გეზარება მეთქი! მაშასადამე, შენთან კაცი სიკეთით ვერას გაიდება... ეგ არ ვარგა .. როგორ იყიდე?

.ომა უფრო აირია.

— არაფერი მიმიცია, თქვენო მაღ-ბავ!..

— როგორ, თუ არაფერი მიგიცია? მაშ საიდან მოიყვანე?

„ამის თქმა კი აღარ შეიძლება,—გაიფიქრა თომამ:—ამაზედ ბევრი მომხვდება!“

— გაჩუქეს?

— დი[illegible]
გაეხარდა თო[illegible]
— გაჩუქ[illegible]
— დიაღ..[illegible]
— ვინ გაჩუ[illegible]
— ნაცნობმა [illegible] კაცმა..

— არა, ეგ არ მინდა! მიეცი... აი ფული, ათი შაური! საღამოზედ წაიღე და მიეცი...

„აი ხიფათი!“—ფიქრობდა თავგზა დაბნეული თომა.

— არა, თქვენო მაღ-ბავ! არ უნდა... საჩუქრად მოგართვათ... ნაცნობია...

— რას ბოდავ! შენ გგონია, ვიღაც უცნობ დედაკისაგან ქათამს საჩუქრად ავიღებ? წაიღე ფული და საღამოზედ უეჭველად მიეცი!—გაიმეორა მკაცრად კაპიტანმა.

— მესმის, თქვენთ მაღ-ბავ!—უპასუხა თომამ.

თომამ ძალა-უნებურად ჩაიდო ჯიბეში ფული. შემდეგ გაჯავრებულმა ოხვრა-ვიშით დაჭკლა ქოჩორა ქათამი და წვნის მზადებას შეუდგა.

საღამოზედ კაპიტანს მოახსენა, რომ ფულის ჩასატანად მივდივარო. წავიდა სოფელში და, როდესაც საყდართან გაიარა, ათშაურიანი გალავანში დაკიდულს ყულაბაში ჩააგდო...

* * *

ქათამი კაპიტანს ორს დღეს ეყო, მესამე დღეს კი, იმდენად მოკეთდა, რომ დაკეპილი ხორცი სჭამა. სახლიდან არ გასულა იმ დღეს, საღამოზედ სამუშაო ოთახში იჯდა. ამ დროს საშინელი ხმაურობა და აურზაური მოესმა სამზარეულოდან. საჩქაროდ გავარდა და შემდეგი სურათი დაჰხვდა. ძალზედ გაბრაზებული ბებერი დედაკაცი, ადგილობრივ დიაკვნის ცოლი, იწევდა თომასკენ, ის კი, შეშინებული და შერცხვენილი უკან-უკან იხევდა, ქშინავდა და დაუპატიჟებელს სტუმარს იგერებდა.



ავტონომიური ფინლიანდია.— სენატი, აშენებულია 1822 წ. სენატის მოედენზე, ჰელსინგფორსში.

— ღმერთი არა გრწამს, შე ეშმაკის შვილო!—უყვიროდა დიაკვნის ცოლი, რომელიც კაპიტანისკენ ზურგით იდგა

ვერა ჰხედავდა.—ვისი ქათამი მოიპარე, შენ! მერე ისიც ჩემი საყვარელი ქათამი! ჩემი ქოჩორა! შენ მოიპარე, შენ! ეს მესამე დღე, დავრბივარ, ვეძებ... ეხლა კი ანნა მარკოვნამ გამაგებინა, რაშიაც იყო საქმე... ვისთან არ იყავი ქათმის სასყიდლად, მაგრამ არავინ მოგყიდა. სახლს ერთი ვერსის მანძილზედ მოშორდი და მე მომპარე, ჰა! გეგონა, ვერ ვიპოვნიდი, ვერ მოვაგნებდი, განა? ხომ ნახე, რომ მოგაგენი, შე წაწყმედილო, შენა! საციმბირე!.. პასუხი აგე ეხლა... აგე პასუხი! ბატონთან გიჩივლებ...

კაპიტანმა ჩაახველა, რომ გაბრაზებულ დიაკვნის ცოლის ყურადღება თავისზედ მიექცია. ისიც მაშინვე მივარდა კაპიტანს:

— მამავ-ბატონო! თქვენო მაღ—ბავ! ერთი გაგვასამართლეთ... ძარცვაა!..

— გავიგე... დაეცადეთ, ნუ ღრიალებთ!—შეაწყვეტინა სიტყვა ბოკმა.—რა ღირს თქვენი ქათამი?

— დაუფასებელი რამ გახლდთ, თქვენო მაღ-ბავ! ქოჩორა... მერე რა ჯიშიანი იყო!.. ჩემმა ქალმა თავის სახლიდან ჩამომიყვანა საშენებლად დედალ-მამალი. მერე რამდენს კვერცხებს სდებდა! არ დაიჯერებთ, დღე-გამოშვებით სდებდა... დაუფასებელი და ძვირფასი რამ იყო ის დედალი!

— მაინც რა ფასად გაჰყიდდით, რომ გაყიდვა მოგხდომოდათ?

— არაფრის გულისთვის არ გავყიდდი! არაფრის გულისთვის!

— მანეთად გაჰყიდდით?

— არა, ბატონო, არ გავყიდდი! გაზაფხულზედ და მერე ისიც შობის წინა დღეებში... ისეთს ქათამს!..

— კარგი, ორ მანეთად?

— ორ მანეთად, რასაკვირველია, გავყიდდი!

— მაშ, აჰა, აიღეთ ორი მანეთი და წადით,—სთქვა კაპიტანმა.—ამას კი მე გავუსწორდები...

დიაკვნის ცოლი წავიდა. თან ფულსა სთვლიდა და თან კაპიტანს მადლობას უხდიდა.

თომა დამნაშავესავით თავ-ჩაღუნული იდგა.

— აბა, ჩემო ძმაო,—მიუბრუნდა კაპიტანი,—ერთი კვირაა, რაც მემსახურები და კარგად გამაცანი შენი თავი... ბატსავით უტვინო ხარ, ზარმაცობ, სცრუობ, ქურდობ... ამასთანავე ქათამი მოიპარე, მე კი ათი შაური ამცინცლე...

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ!.. ისე რომ...

— არა, მე შენთან ლაპარაკი არა მსურს... მაგ შენის ეშმაკობისთვის მე შემეძლო სამართალში მიმეცა შენი თავი, მაგრამ, რადგან მებრალები, მაგას არ ვიზამ. მხოლოდ ჩემთან კი არ დაგტოვებ, დაგითხოვ...

„მადლობა ღმერთს“ — გაიფიქრა თომამ...

მეორე დღის შემდეგ თომა სამზარეულოს ჭურჭელს ახალს მოსამსახურეს, ივანეს აბარებდა. ბატონის შესახებ ლაპარაკის დროს თომამ გამოსძებნა ის სიტყვა, რომელიც გრიგოლ ჟურკინმა ვერას გზით ვერ მოიგონა.

— რად გადიხარ? როგორია ბატონი?—ჰკითხა ივანემ.

— ოჰ!—ამოიოხრა თომამ.—უმადურია, ერთის სიტყვით უმადურია!...

დამ. დეკანოზიშვილი

გასართობი

ავი გავლენა.—ერთი ყმაწვილი მასწავლებელი, იტალიელი გიდო ჯიანოლიო, ამტკიცებს, საუკეთესოდ მოსწავლე კლასი ირყვნება და უკლებს სწავლას, თუ ერთიც არის წამხდარი ან სწავლაში უკან ჩამორჩენილი ბავშვი ჩაერიაო; საზოგადოებრივ სარგებლობისთვის და სწავლა-განათლების საკეთილოდ მოწყობისათვის საჭიროა პედაგოგთა და ექიმთაგან შემდგარმა კომისიამ შეასწავლოს მოსწავლენი ვინც კი ან ბუნებრივ ნაკლულევანების გამო, ან უხეიროო ადზრდის და გავლილს კურსის უკოდინარობის გამო უკან არის ჩამორჩენილი, კლასს მოაშოროს და ცალკე მათთვის შესაფერ მეთოდით აღჭურვილ მასწავლებელს ჩააბარაოსო.—გიდო ჯიანოლიოს აზრს მხარი დაუჭირა გამოჩენილმა მეცნიერმა ლომბროზომ და პროფესორებმა სერჯიმ, ფერრიმ და ლინო ფერრიანიმ.

**

ახალი დრამა ნოველისა. — იტალიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნოველის დრამამ „მოხუცი გმირი“. მოხუცებულ მსაჯულს, თავის დროზედ თავგამოდებულს მამლაშვილს, და ავსტრიელთაგან იტალიის განთავისუფლებისთვის ტერორორით მებრძოლს, ერთ მშვენიერ დღეს ყმაწვილ კაცს მიაყენებენ კარზედ: ყმაწვილი კაცი ანარქისტია, ყუმბარა უსროლია, თითონაც დაჭრილა და სულთმობრძავი შეუყვანიათ იქვე მსაჯულისას. დაჭრილა მსაჯულის ქალი უვლის, უნივერსიტეტში მოსწავლე შეუყვარდება და მამას სთხოვს, უშველე, დაიხსენ სასამართლოს ბრჭყალებიდან... მოიგონე შენი სიყმაწვილე, შენც გატაცებული იყავ პრინციპით, შენც იბრძოდი, შენც არა ზოგავდი შენს მტერს, შენც იჯექ ციხეში ტერორორიულ საქციელის გამოო...

— მე სამშობლოსთვის ვიბრძოდიო,—უპასუხებს მამა.

— დრონი იცვალნენ! პრინციპები შეიცვალა, მაგრამ იდეალი ადამიანის სრულ თავისუფლებისა იგივე დარჩა და ისიც მაგ იდეალს ემსახურება...

იმდენს იზამს ქალი, რომ მამას დაიყოლიებს და მსაჯული თითონ გააპარებს ანარქისტს.



— სემინარია ხომ გავათავეთ, ამხანაგო, ეხლა გიმნაზიაში გადმოგვიყვანეს.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ხ. რცხილაძე.**